ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4562316

ნომერი: AR1689760

თარიღი : 24.06.2019

გაცემის თარიღი : 26.06.2019

გაცნობის თარიღი : 26.06.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 34 ; ქალაქი თბილისი , ალ.ყაზბეგის გამზირი N34 , მიმდებარედ ;
ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 34 , (ნაკვეთი N40/226) ; ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 34;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პაატა გუგუშვილი პ/ნ 01017000220
- თბილისი გ.ჭანტურიას ქ. N 5 ბ. 15

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 17 ივნისის №4547586 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019

წლის 24 ივნისს №AR1689760 განცხადებით მომართა პაატა გუგუშვილმა. განმცხადებელმა მოითხოვა 2019 წლის 17 ივნისის №4547586 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მშენებლობის ვადის მითითების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 24 მაისის №4512652 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, გამზირი ალ. ყაზბეგი N34/ ალ. ყაზბეგის გამზირი N34 მიმდებარედ/გამზირი ალ. ყაზბეგი N34 (ნაკვეთი N40/226)/ გამზირი ალ. ყაზბეგი N34 (ს/კ N01.14.03.040.381) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი.
სამსახურის 2019 წლის 17 ივნისის №4547586 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 17 ივლისიდან 2021 წლის 17 იანვრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში შეცდომით იქნა დაფიქსირებული მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადა, კერძოდ: ,,მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 17 ივნისიდან 2020 წლის 17 დეკემბრის ჩათვლით'' ნაცვლად მიეთითა ,,მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 17 ივლისიდან 2021 წლის 17 იანვრის ჩათვლით''.
საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2019 წლის 29 მაისის №AR1684021 განცხადებაზე წარმოდგენილ იქნა მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი 18 თვეზე და სამსახურის 2019 წლის 17 ივნისის №4547586 ბრძანებით მშენებლობის ვადა უნდა განსაზღვრულიყო 2019 წლის 17 ივნისიდან 2020 წლის 17 დეკემბრის ჩათვლით ხოლო ბრძანებაში შეცდომით დაფიქსირდა ,,2019 წლის 17 ივლისიდან 2021 წლის 17 დეკემბრის ჩათვლით''.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დაეკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2019 წლის 17 ივნისის №4547586 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს მოქალაქე პაატა გუგუშვილის 2019 წლის 24 ივნისის №AR1689760 განცხადება.
2. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 17 ივნისის № 4547586 ბრძანებაში, კერძოდ: ბრძანების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 17 ივნისიდან 2020 წლის 17 დეკემბრის ჩათვლით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 17 ივნისის № 4547586 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 17 ივნისის № 4547586 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.